სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა** Political Analysis and Public Policy
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი Master of Political Science
პროგრამის მოცულობა **კრედიტებით და მათი განაწილება**	**120 კრედიტი (ECTS)** **მათ შორის:** • **სავალდებულო სასწავლო კურსები:** 90 კრედიტი (ECTS), აქედან სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი (ECTS); • **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები:** 20 კრედიტი (ECTS); • **თავისუფალი სასწავლო კურსები:** 10 კრედიტი (ECTS) **სწავლების სემესტრი:** ოთხი, აქედან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი	**სალომე დუნდუა,** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:** ➢ ბაკალავრის ხარისხი ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი ნებისმიერ სფეროში; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; ➢ სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის; ➢ წერითი გამოცდა სპეციალობაში; ➢ ინგლისური ენის B2 დონის დადასტურება თსუ-ს მიერ უცხო ენის ინსტიტუციონალური გამოცდის ჩაბარებით ან/და თსუ-ს მიერ აღიარებადი შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენით (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები); ➢ გასაუბრება სპეციალობაში (ამ მიზნით შექმნილ კომისიასთან); ➢ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; ➢ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

	მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა: ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა; ➢ წერითი გამოცდა სპეციალობაში - საერთო შეფასების 50 - % - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან); ➢ გამოცდა უცხოურ ენაში, ინგლისური ენა (B2) – საერთო შეფასების 30 % - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან); ➢ გასაუბრება სპეციალობაში - საერთო შეფასების 20 % - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან);
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:** მოამზადოს პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტი, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა დარგის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ; სტუდენტმა შეძლოს პოლიტიკური სისტემის გამართული ფუნქციონირების პროცესში ეკონომიკური, იდეოლოგიური და შესაბამის სექტორში პოლიტიკის მნიშვნელობის სიღრმისეული ანალიზი და სისტემური შეფასება, პოლიტიკური აქტორების ფუნქციონირებისა და საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სექტორში არსებული პოლიტიკური კურსების წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, კრიტიკული ანალიზი, შეფასება და ინოვაციური, ეფექტიანი გზების შერჩევა. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დაცვით, პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით კვლევების დაგეგმვა და განხორციელება, რითიც წვლილს შეიტანს პოლიტიკის მეცნიერების აკადემიური სფეროს განვითარებაში.
სწავლის შედეგები *ა) ცოდნა და გაცნობიერება* *ბ) უნარები* *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა*	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** 1. სისტემურად და სიღრმისეულად აღწერს თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში არსებულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებსა და პრინციპებს; 2. აცნობიერებს პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის, როგორც პოლიტიკის მეცნიერების ნაწილის, ძირითადი ინსტრუმენტების მნიშვნელობას საჯარო პოლიტიკის წარმოებისა და შეფასების პროცესში; 3. განსაზღვრავს საჯარო პოლიტიკური პროცესის ეთიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ პრინციპებსა და მექანიზმებს; 4. სისტემურად და სიღრმისეულად აღწერს პოლიტიკური ანალიზის ერთეულებსა და მათი შეფასების თავისებურებებსა და გამოწვევებს; 5. სისტემურად უკავშირებს პოლიტიკურ სისტემაში არტიკულაციისა და აგრეგაციის პროცესების შემადგენელ

	ნაწილებს პოლიტიკის თეორიასა და პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს; 6. დარგობრივი თეორიებისა და მოდელების გამოყენებით, ადარებს, კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სხვადასხვა პოლიტიკურ კურსს; 7. კრიტიკულად მიმოიხილავს, აჯამებს და აფასებს პოლიტიკის მეცნიერების შესაბამის სუბდისციპლინაში არსებულ აკადემიურ ლიტერატურას; 8. პირველადი და მეორეული მონაცემების მოძიების, შეგროვების, ორგანიზებისა და ინტერპრეტირების გზით, მაღალი ეთიკური სტანდარტის დაცვით, გეგმავს და ახორციელებს სამაგიდე და საველე კვლევით სამუშაოებს პოლიტიკის მეცნიერების სფეროში; 9. აკადემიური წერისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით, დარგის უახლესი ცოდნის გამოყენებით, დამოუკიდებლად ამზადებს პოლიტიკის მეცნიერებასთან დაკავშირებულ ანალიტიკურ და კვლევით ნაშრომს; ეფექტურად, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, წარადგენს ზეპირ პრეზენტაციას როგორც დარგის სპეციალისტებთან, ისე ფართო საზოგადოებასთან.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ვერბალური (ინტერაქცია, დიალოგი); დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლების მეთოდი.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. **შეფასების სისტემა უშვებს:**

	ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიანკარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა[1] – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** **სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**

[1]სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, ითვლება ჩაჭრილად.

	სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო **- (F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას[2].“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა** (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint,

[2] https://bit.ly/3kDfjht - სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

	დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	**კურსდამთავრებულების დასაქმების სფერო ვრცელია. მათ შეუძლიათ დასაქმდნენ:** • საჯარო სექტორში (როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი დონის დაწესებულებები); • არასამთავრობო ორგანიზაციებში; • საერთაშორისო ორგანიზაციებში; • კვლევითი ცენტრებში; • პოლიტიკურ პარტიებში; • კერძო სექტორში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მას მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლებით, ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური მიღწევები და სამეცნიერო საქმიანობა საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე https://bit.ly/3rY7YxG **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ

	ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (მ.ალექსიძის II შესახვევი, №3) და სხვა. პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თსუ I, II, III და VI კორპუსებში, რომლებიც განთავსებულია თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე №№1, 3, 11ა და 8 ნომრებში.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მიერ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა გააყალბოს მონაცემები ან სხვა ინფორმაცია და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის (https://www.turnitin.com/) გამოყენებით. სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, ნაშრომის ორიგინალურობის შესამოწმებლად, ტვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე https://e-learning.tsu.ge/. ნაშრომს ამოწმებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით“ (სამსახური, დაცვამდე 9 კალენდარული დღით ადრე ნაშრომების ელექტრონულ ვერსიას უგზავნის რეცენზენტს და კომისიას. ნაშრომის ორიგინალობის კუთხით ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წერილობით აცნობებს დაცვის კომისიას შესაბამისი რეაგირების მიზნით. ნაშრომში აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლენის შემთხვევაში კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან მიიღონ

	შემდეგი გადაწყვეტილება: ა) მაგისტრანტი დაშვებულ იქნეს დაცვაზე და ხარვეზები აისახოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში; ბ) მაგისტრანტი არ იქნეს დაშვებული დაცვაზე; გ) მაგისტრანტის საკითხი განიხილოს ეთიკის კომისიამ. აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი: (https://tsu.ge/assets/media/files/71/academic/372020_d1.pdf).
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო პროგრამას შეუძლია ყოველწლიურად მიიღოს 25 სტუდენტი. მოცემული სამაგისტრო პროგრამა 120 ECTS-გან შედგება, საიდანაც 90 ECTS არის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთა შორისაა (38 ECTS) ერთი მხრივ, საკვანძო დარგობრივი სასწავლო კურსები (მაგ. პოლიტიკური მეცნიერების სკოლები და კონცეფციები, საჯარო პოლიტიკის თეორია, პოლიტიკის ანალიზი და შეფასება, შედარებითი საჯარო პოლიტიკა, პოლიტიკური ინტერესების არტიკულაცია და აგრეგაცია, პოლიტიკური იდეოლოგიები და საჯარო პოლიტიკა, ეთიკა, კორუფცია და საჯარო პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა) და მეორე მხრივ, კვლევითი უნარების განვითარებისთვის წარმოდგენილია 52 ECTS, რაც მოიცავს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, მონაცემთა ანალიზს, აკადემიური წერისა და კვლევის დიზაინის კურსებს; სამაგისტრო ნაშრომს. რაც შეეხება არჩევით და თავისუფალ სასწავლო კურსებს, ის წარმოდგენილია 30 ECTS-ით, საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 20 ECTS შესაბამისი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები. ასევე, სტუდენტს შეუძლია დარჩენილი 10 ECTS გამოიყენოს თავისუფალი კრედიტისთვის ან აირჩიოს სასწავლო კურსები არჩევითი ბლოკიდან, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს ერთი მხრივ, გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს (ადამიანური და ორგანიზიული რესურსების მართვის პოლიტიკა, საგანგებო სიტუაციების მართვა, ლიდერი და ორგანიზაცია, ელექტრონული მმართველობა და საჯარო პოლიტიკა, მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია, მედია და დემოკრატიზაცია); მეორე მხრივ კი, სექტორული პოლიტიკის სასწავლო კურსებს (ჯანდაცვის, შრომისა და სოციალურ, გარემოსდაცვის, განათლების, თავდაცვის, კულტურული მემკვიდრეობის, მშვიდობის, სპორტის პოლიტიკა). **პროგრამის სტრუქტურის შესაბამისად:** პირველ სემესტრში სტუდენტი გაივლის 6 სავალდებულო სასწავლო კურსს (ჯამში 30 ECTS). ესენია: 1. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: ძირითადი სკოლები და კონცეფციები; 2. საჯარო პოლიტიკის თეორია; 3. ეკონომიკური პოლიტიკა; 4. საჯარო პოლიტიკის ანალიზი და შეფასება; 5. ეთიკა, კორუფცია და საჯარო პოლიტიკა;

	6. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მეორე სემესტრში სტუდენტი გაივლის 3 სავალდებულო სასწავლო კურსს (ჯამში 15 ECTS) და არჩევით/თავისუფალ სასწავლო კურსებს. სავალდებულო კურსებიდან: 1. შედარებითი საჯარო პოლიტიკა; 2. პოლიტიკური ინტერესების არტიკულაცია და აგრეგაცია; 3. თვისებრივი კვლევის მეთოდები და ანალიზი; მესამე სემესტრში სტუდენტი გაივლის 3 სავალდებულო სასწავლო კურსს (ჯამში 15 ECTS) და არჩევით/თავისუფალ სასწავლო კურსებს. სავალდებულო კურსებიდან: 1. პოლიტიკური იდეოლოგიები და საჯარო პოლიტიკური პროცესი; 2. რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი; 3. აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი პოლიტიკის მეცნიერებაში. მეოთხე სემესტრში სტუდენტი წერს სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა

მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერების

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 **ECTS**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები /კოორდინატორი: სალომე დუნდუა, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 26/07/2022, №: 62/2022 (დანართი 310)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №1650845; 23/12/2022 – 31/12/2028 https://eqe.ge/ka/deqars/888/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2022 – 2023

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[3] ნომერი და თარიღი): №14/2024-07/02/2024; №62/2024 – 29/04/2024; №113/2024 – 09/09/2024; №33/2025-03/06/2025; №18/2026-27/02/2026.

[3] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი 120 კრედიტი (ECTS)														
საფაკულტეტო/საბაზისო სავალდებული კურსები - 90 კრედიტი (ECTS), მათ შორის: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 კრედიტი (ECTS); სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)														
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი / ლექტორები
				ლექცია	სემინარი/სამუშაო ჯგუფი	გამოცდის დრო	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ		I	II	III	IV	
1		თანამედროვე პოლიტიური მეცნიერება: ძირითადი სკოლები და კონცეფციები *(პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	30	7	73	125	წინაპირობის გარეშე	✓				მალხაზ მაცაბერიძე ნინო მაისურაძე
2		საჯარო პოლიტიკის თეორია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓				გიორგი მელიქიძე
3		ეკონომიკური პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓				ირმა ტყემალაძე
4		საჯარო პოლიტიკის ანალიზი	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓				გიორგი მელიქიძე თამთა ჭრიკიშვილი

5		ეთიკა, კორუფცია და საჯარო პოლიტიკა	5	15	15	5	90	100	წინაპირობის გარეშე	✓				ალექსანდრე კუხიანიძე
6		შედარებითი საჯარო პოლიტიკა	5	15	30	5	75	125	საჯარო პოლიტიკის ანალიზი; საჯარო პოლიტიკის თეორია		✓			სალომე დუნდუა სანდრო ტაბატაძე
7		პოლიტიკური ინტერესების არტიკულაცია და აგრეგაცია	5	15	15	5	90	100	თანამედროვე პოლიტიური მეცნიერება: ძირითადი სკოლები და კონცეფციები		✓			ზვიად აბაშიძე ნიკა გიგაური
8		პოლიტიკური იდეოლოგიები და საჯარო პოლიტიკური პროცესი	5	15	15	5	90	125	საჯარო პოლიტიკის ანალიზი			✓		სალომე დუნდუა კორნელი კაკაჩია
9		რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓				თეონა მატარაძე თამარ ჩხაიძე
10		თვისებრივი კვლევის მეთოდები და ანალიზი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓			თამარ ქარაია თეკლა იაშაღაშვილი
11		რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი	5	15	15	5	90	125	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები			✓		თეონა მატარაძე თამარ ჩხაიძე ანა პაპიაშვილი
12		აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი პოლიტიკის მეცნიერებაში	5	15	15	0	95	125	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები; თვისებრივი კვლევის მეთოდები და ანალიზი			✓		დავით მაცაბერიძე ავთანდილ ტუკვაძე

13		სამაგისტრო ნაშრომი	30	60				690	მინიმუმ 80 კრედიტი[4] (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი)				✓	პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები - მინიმუმ 20 კრედიტი (ECTS)														
1		კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკა და ისტორიული არეალების მართვა	5	15	15	5	90	125	საჯარო პოლიტიკის ანალიზი		✓			თამარ ამაშუკელი
2		მშვიდობის პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	საჯარო პოლიტიკის ანალიზი		✓			ნათია ჭანკვეტაძე ქეთევან მურუსიძე
3		თავდაცვის პოლიტიკა	5	15	15	4	91	125	საჯარო პოლიტიკის ანალიზი			✓		ეკატერინე გახოკიძე
4		ჯანდაცვის პოლიტიკა	5	15	15	4	91	125	შედარებითი საჯარო პოლიტიკა			✓		თენგიზ ვერულავა
5		შრომისა და სოციალური დაცვის პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	საჯარო პოლიტიკის ანალიზი		✓			ჯაბა ურუტაძე
6		პოპულიზმი გლობალურ პერსპექტივაში	5	15	15	5	90	125	პოლიტიკური იდეოლოგიები		✓			გიორგი გოგსაძე
7		საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება: კარგი მმართველობის ძიება	5	15	15	7	88	125	წინაპირობის გარეშე			✓		მალხაზ მაცაბერიძე

[4] **გათვალისწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა**
(სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომთან ერთად აიღოს ორი 5 კრედიტიანი ან ერთი 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი)

8		გარემოსდაცვითი პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	შედარებითი საჯარო პოლიტიკა			✓		გვანცა სივსივაძე
9		განათლების პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	შედარებითი საჯარო პოლიტიკა			✓		სანდრო ტაბატაძე
10		ადამიანური და ორგანიზაციული რესურსების მართვის პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			✓		თამთა ჭრიკიშვილი
11		ელექტრონული მმართველობა და საჯარო პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓			ვლადიმერ ნაფეტვარიძე
12		საგანგებო სიტუაციების მართვა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			✓		ალექსანდრე კუხიანიძე
13		სპორტის მენეჯმენტი და სახელმწიფო პოლიტიკა	5	15	15	5	90	125	საჯარო პოლიტიკის ანალიზი			✓		ნიკოლოზ ტაბატაძე
14		მედია და დემოკრატიზაცია *(მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			✓		მანანა შამილიშვილი
15		მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია *(სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓			თამარ დოლბაია
16		პოლიტიკის ადვოკატირების სტრატეგიები	5	15	15	5	90	125	საჯარო პოლიტიკის თეორია			✓		თამარ ქარაია
17		ტერორიზმი და კონტრტერორიზმი *(პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓				ალექსანდრე კუხიანიძე
18		პოლიტიკური კრიზისები და დამოუკიდებელი საქართველო	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓			ირაკლი მეგრელიშვილი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (ECTS)[5]

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

[5] სტუდენტს შეუძლია აირჩიოს პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო ან სხვა ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი - 10 კრედიტის მოცულობით.